სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

24/04/2026

MES 0 26 0000479872

ბრძანება

თბილისი

სსიპ - უმაღლესი საგანმაწათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის 2026 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის N1676086 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სამსანურებრივი ბარათის (N478337, 24/04/2026) შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს 2026 წლის სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2.დამტკიცდეს სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია საპროექტო განაცხადის შესახებ და ბიუჯეტი ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N4- ის შესაბამისად;
6. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის პირველი

კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დავით ჩიჩუა, ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ირინე კვირიკეიშვილი და ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის კოორდინატორი მარიამ ბეციაშვილი.

7. კონკურსის კონსულტანტებად პროექტის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე განისაზღვრონ ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები - ანა კობერიძე და ავთანდილ ჯარიაშვილი;

8. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

9. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ᲡᲐᲛᲝᲮᲔᲚᲝ ᲨᲢᲐᲛᲞᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 24 აპრილის №479872 ბრძანებით

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის მიზანია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), მათი მმართველობის სფეროში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით, სათანადო ლიტერატურის შეძენის და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის, აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა.

2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი), „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857857 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 20 აპრილის №455135 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 05 04) მე-3 ქვეპროგრამისა და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა და დაფინანსების მიღება შეუძლიათ სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ

შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისათვის, კერძოდ:

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ა.ა) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
ა.ბ) რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი;
ა.გ) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
ა.დ) მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;
ა.ე) ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი;
ა.ვ) შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
ა.ზ) ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი;
ა.თ) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი;
ა.ი) ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი;
ა.კ) ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი;
ა.ლ) ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
ა.მ) პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
ა.ნ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
ა.ო) თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი;
ა.პ) პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი;
ა.ჟ) ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ა.რ) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ბ) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბ.ა) ბიოტექნოლოგიის ცენტრი;
ბ.ბ) ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;
ბ.გ) ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;
ბ.დ) ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
ბ.ე) ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;
ბ.ვ) ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;
ბ.ზ) ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;
ბ.თ) სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი;
ბ.ი) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ,,ტალღა";
ბ.კ) ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
ბ.ლ) კვების მრეწველობის ინსტიტუტი;
ბ.მ) მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;
ბ.ნ) არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი;
ბ.ო) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ,,ტექინფორმი";
ბ.პ) კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი.
ბ.ჟ) საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

გ.ა) ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი;
გ.ბ) იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.

დ) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

დ.ა) გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;
დ.ბ) ბოტანიკის ინსტიტუტი;
დ.გ) დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი;
დ.დ) ზოოლოგიის ინსტიტუტი;
დ.ე) პოლიტოლოგიის ინსტიტუტი;
დ.ვ) დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი;
დ.ზ) სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
დ.თ) დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სსიპ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უფლება აქვთ მათ შემადგენლობაში შემავალი თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისათვის წარადგინონ ერთი საპროექტო განაცხადი ქვემოთ დასახელებულ ერთ ან ორ ლოტში:

I ლოტი	განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები (150,000.00 და მეტი ლარის ღირებულების);
II ლოტი	ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა (100,000.00-დან 149,999.00-მდე ლარის ღირებულების);
III ლოტი	სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა (მაქსიმუმ 99,999.00 ლარის ღირებულების);
IV ლოტი	რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები (არაუმეტეს 25,000.00 ლარი ერთი განაცხადი);
V ლოტი	კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონულ მონაცემთა ბაზები (მათ შორის საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები), სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები (არაუმეტეს 15,000.00 ლარი ერთი განაცხადი);
VI ლოტი	ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები (არაუმეტეს 10,000.00 ლარი ერთი განაცხადი).

3. ერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისათვის:

ა) განაცხადში დაფინანსების ორი ლოტიდან მოთხოვნის შემთხვევაში განისაზღვრება მთავარი და დამატებითი ლოტები.
ბ) დაუშვებელია მთავარი და დამატებითი ლოტები იყოს ერთი და იგივე.

გ) მთავარ ლოტში I ლოტის არჩევის შემთხვევაში დაუშვებელია, დამატებითი ლოტი იყოს II ლოტი და პირიქით;

დ) თითოეული ლოტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს დასახელებული ლოტის ბიუჯეტის ლიმიტს;

ე) ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ტრანსპორტირებას, მონტაჟს, ხელსაწყო(ები)ს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლებას, რემონტს, დაზღვევას, საბაჟო გადასახადს, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურებას (საჭიროების შემთხვევაში) გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ლოტის ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში.

4. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი** - სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

5. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსზე უნდა დარეგისტრირდეს საპროექტო განაცხადი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია საპროექტო განაცხადის შესახებ და ბიუჯეტი (დანართი №2 - ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) პროექტის წარმდგენი იურიდიული პირის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №4, გენერირდება GMUS-დან) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით.

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დაფინანსების მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარადგინოს:

ა) დაფინანსებული ორგანიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) სახაზინო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება დაფინანსების თანხა;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

4. პროექტის სრულყოფილად წარდგენასა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში საპროექტო განაცხადის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2026 წლის 29 აპრილიდან 14 მაისის 16:00 საათამდე;

   ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2026 წლის 20 მაისის 17:00 საათამდე.

2. საპროექტო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირები:

   ა) საპროექტო განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რეგისტრირდება GMUS-ის „ორგანიზაციის პროფილში“;

   ბ) პროექტის ხელმძღვანელი (დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორი/დირექტორის მოადგილე) რეგისტრირდება GMUS-ის „მეცნიერის პროფილში“.

3. საპროექტო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში.

4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების (კონკურსის პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში.

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის საპროექტო განაცხადი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილია შესაბამისად დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპები

1. კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - აპრილი;

2. საპროექტო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია - აპრილი - მაისი;

3. ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა - მაისი;

4. კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა, ხარვეზის დადგენა და ხარვეზის გამოსწორების ვადის განსაზღვრა - მაისი - ივნისი;

5. კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების შეფასება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მიერ ივნისი - სექტემბერი;

6. საკონკურსო კომისიისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალურ დირექტორთან წარდგენა დასამტკიცებლად - ივნისი - ოქტომბერი;

7. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება - ივნისი - ოქტომბერი;

8. ხელშეკრულებების გაფორმება - ივლისი - ნოემბერი.

მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. კონკურსში მონაწილე საპროექტო განაცხადების შეფასება ხორციელდება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857857 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 20 აპრილის №455135 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 05 04) მე-3 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით.

2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
   ა) სამინისტროს წარმომადგენლები (3 წევრი);
   ბ) ფონდის წარმომადგენლები (2 წევრი);
   გ) სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელი (1 წევრი);
   დ) სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი (1 წევრი);
   ე) დარგობრივი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში).

3. საკონკურსო კომისია კონსესუსის წესით:

   ა) განსაზღვრავს საკონკურსო ბიუჯეტის თანხის განაწილებას ლოტებს შორის კონკურსში მონაწილე საპროექტო განაცხადებით მოთხოვნილი დაფინანსების გათვალისწინებით;

   ბ) აფასებს კონკურსში მონაწილე განაცხადებს დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

   გ) იღებს გადაწყვეტილებას თითოეულ საპროექტო განაცხადზე და გადაწყვეტილებას ასახავს შემაჯამებელი კომენტარის სახით;

   დ) შეარჩევს დასაფინანსებელ პროექტებს და წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად.

4. საკონკურსო კომისია განაცხადებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	კრიტერიუმი	სუსტი	საშუალო	კარგი

1	**გამორჩეული მეცნიერება** • დამოუკიდებელი ერთეულის სტრატეგიული მიზნები; მიღწევები და სამეცნიერო პროდუქტიულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში; • მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები (მათ შორის საერთაშორისო ან/და ბიზნესთან თანამშრომლობით)	1-4	5-7	8-10
2	**განხორციელებადობა** ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წლიდან დაფინანსების ხელშეკრულებების შესრულების ხარისხი	1-4	5-7	8-10
3	**მოსალოდნელი შედეგები** • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა/განახლება • ღია სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა (მოსარგებლეთა წრე, გაზიარებული სამეცნიერო პრაქტიკა, დამწყებ მკვლევართა შესაძლებლობების განვითარება)	1-4	5-7	8-10
	ჯამური ქულა			
	შემაჯამებელი კომენტარი			

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის კორექტირებაზე. ასეთ შემთხვევაში, დაფინანსების ხელშეკრულება გაფორმდება კორექტირებული ბიუჯეტის წარმოდგენის საფუძველზე.

მუხლი 7. დაფინანსების ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს ხელშეკრულებების გაფორმებას.

2. ხელშეკრულება გაფორმდება იმ სუბიექტებთან, რომლებიც წარმოადგენენ „კონკურსის პირობების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები გადაირიცხება უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სახაზინო ანგარიშზე ავანსის სახით ერთ ტრანშად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 8. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი განახორციელებს პროექტების დაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების პროგრამულ მონიტორინგს.

2. მონიტორინგი გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებას დაფინანსების მიმღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის საფუძელზე. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ადგილზე ვიზიტი მონიტორინგის მიზნებისათვის.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას პროექტის ლოტის ბიუჯეტის ქვეკატეგორიაში დაგეგმილი შესყიდვის რაოდენობის, ბრენდის, მოდელის, სპეციფიკაციის ცვლილება და თანხის გადანაწილების ცვლილება უნდა აისახოს გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) პროექტის დასრულებამდე, თუ აღნიშნული ცვლილება არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას ან/და რომელიმე შესყიდვის ანულირებას.

4. პროექტის ლოტის ბიუჯეტში ახალი ქვეკატეგორიის (შესყიდვის) დამატება ან/და რომელიმე შესყიდვის ანულირება საჭიროებს საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებას. სავალდებულოა, რომ ასეთი ცვლილებები დაკავშირებული იყოს პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან და არ გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ჯამური ოდენობის ზრდას.

5. დაფინანსების მიმღები ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ ფონდში წარმოადგინოს ანგარიში დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

6. ანგარიშის განხილვისას, პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაფინანსების მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

7. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, მას შემდეგ რაც დაფინანსებული პროექტისათვის ავანსად გადარიცხულ ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში, ფონდში წარდგენილია ანგარიში, ფონდის მიერ შედგენილია შესაბამისი განხილვის აქტი და მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია საპროექტო განაცხადის შესახებ და ბიუჯეტი

დაფინანსების მოპოვების მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მის შემადგენლობაში შემავალი ერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისთვის შეუძლია ერთი საპროექტო განაცხადის წარდგენა მაქსიმუმ ორ ლოტში.

ზოგადი ინფორმაცია

1	ლოტის დასახელება (მთავარი ლოტი)	აირჩიეთ ერთ-ერთი
2	ლოტის დასახელება (დამატებითი ლოტი)	აირჩიეთ ერთ-ერთი
3	საპროექტო წინადადება	ატვირთეთ PDF ფაილი
4	მთავარი ლოტის ბიუჯეტის ჯამი	
5	დამატებითი ლოტის ბიუჯეტის ჯამი	
6	ორივე ლოტის ჯამური ბიუჯეტი	

ორგანიზაცია

ინფორმაცია განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ		
1	უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	
2	უსდ-ს სახელწოდება	• სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი • სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი • სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი • სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
3	დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული	აირჩიეთ ერთ-ერთი
4	უსდ-ს ხელმძღვანელი	
5	თანამდებობა	
6	უსდ-ს ვებგვერდი	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	მისამართი	

პროექტის ხელმძღვანელი

პროექტის ხელმძღვანელი რეგისტრირებული უნდა იყოს სისტემაში - ჰქონდეს მეცნიერის პროფილი GMUS-ში

1	დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
2	დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	

3	ელ.ფოსტა	
4	ტელეფონი	

ბიუჯეტი

1. განაცხადი შეიძლება მოიცავდეს მთავარ და დამატებით ლოტებს, ჯამში მაქსიმუმ 2 ლოტს.
2. დაუშვებელია მთავრი და დამატებითი ლოტები იყოს ერთი და იგივე.
3. დაუშვებელია ერთი განაცხადით მოთხოვნილი იყოს I და II ლოტი ერთდროულად.
4. თითოეული ლოტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს დასახელებული ლოტის ბიუჯეტის ლიმიტს.
5. ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ტრანსპორტირებას, მონტაჟს, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლებას, რემონტს, დაზღვევას, საბაჟო გადასახადს, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურებას (საჭიროების შემთხვევაში) გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ლოტის ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში.

ბიუჯეტი (მთავარი ლოტი)

ლოტის დასახელება				
შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი			ღირებულება	
N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება
1				
2				
3n				
ტრანსპორტირების, მონტაჟის, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლების, რემონტის, დაზღვევის, საბაჟო გადასახადის, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურების ხარჯი				
				ჯამი:

ბიუჯეტი (დამატებითი ლოტი, არასავალდებულო)

ლოტის დასახელება				
შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი			ღირებულება	
N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება
1				
2				
3n				
ტრანსპორტირების, მონტაჟის, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლების, რემონტის, დაზღვევის, საბაჟო გადასახადის, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურების ხარჯი				
				ჯამი:

დანართი №3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 24 აპრილის №479872 ბრძანებით

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი

საპროექტო წინადადება

საპროექტო განაცხადი შეფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857857 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 20 აპრილის №455135 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის მე-3 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით.

საპროექტო წინადადების ფორმატის მახასიათებლები: გვერდის ველები: მინიმუმ 1 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1 სმ, შრიფტის ზომა: 11; საპროექტო წინადადების რეკომენდებული მოცულობა - მაქსიმუმ 10 გვერდი

ინფორმაცია სსიპ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	
სსიპ - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სახელწოდება	
ინსტიტუტში დასაქმებულთა რაოდენობა	
დასაქმებულთა შორის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონეთა რაოდენობა	
დასაქმებულთა შორის პოსტდოქტორანტთა რაოდენობა (რომელთაც ხარისხი მიენიჭათ ბოლო 7 წლის განმავლობაში)	
დასაქმებულთა შორის დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
მიმდინარე პროექტების რაოდენობა, რომლებიც დაფინანსებულია სახელმწიფო გრანტით 2026 წლის 24 აპრილის მდგომარეობით	
ვიზიტორ მკვლევართა რაოდენობა (რომლებიც არ არიან დასაქმებულნი ინსტიტუტში, მაგრამ სარგებლობენ ინსტიტუტის მატერიალურ ტექნიკური ბაზით სხვა და სხვა კვლევითი პროექტების ფარგლებში)	
მიმდინარე პროექტების რაოდენობა, რომელიც დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ან ბიზნეს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ 2026 წლის 24 აპრილის მდგომარეობით	

თავი 1. გამორჩეული მეცნიერება

1.1 დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სტრატეგიული მიზნები; მიღწევები და სამეცნიერო პროდუქტიულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში

1.2 დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, მათ შორის საერთაშორისო ან/და ბიზნესთან თანამშრომლობით

- **მიმდინარე პროექტები**

(პროექტები, რომლებიც განხოციელების ფაზაშია და არ არის დასრულებული 2026 წლის 24 აპრილის მდგომარეობით. თითოეული მიმდინარე პროექტისათვის შეავსეთ ცხრილი)

მიმდინარე პროექტების რაოდენობა -

პროექტის შიფრი/ნომერი	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხელმძღვანელი	
დამფინანსებელი ორგანიზაცია	
პროექტის საერთო ბიუჯეტი	
თანამშრომლობის სპექტრი [1]	ადგილობრივი თანამშრომლობა[2] საერთაშორისო თანამშრომლობა ბიზნეს-სექტორთან თანამშრომლობა
პროექტში ჩართული თანამონაწილე ან პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი	
პროექტის დაწყებისა და დამთავრების თარიღები	
პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის რაოდენობა	
პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერების რაოდენობა	

- **დაგეგმილი პროექტები**

(პროექტები, რომლებიც წარდგენილია დაფინანსების მოსაპოვებლად და არ მოუპოვებია დაფინანსება 2026 წლის 24 აპრილის მდგომარეობით. თითოეული დაგეგმილი პროექტისათვის შეავსეთ ცხრილი)

[1] ჩამონათვალიდან დატოვეთ სწორი პასუხი, ხოლო არასწორი პასუხი წაშალეთ

[2] იგულისხმება საქართველოში დაფუძნებული სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებთან ერთობლივი პროექტი

დაგეგმილი პროექტების რაოდენობა -

პროექტის შიფრი/ნომერი	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხელმძღვანელი	
დამფინანსებელი ორგანიზაცია	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (მოთხოვნილი თანხა)	
თანამშრომლობის სპექტრი [3]	✓ ადგილობრივი თანამშრომლობა[4] ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა ✓ ბიზნეს-სექტორთან თანამშრომლობა
პროექტში ჩართული თანამონაწილე ან პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი	

თავი 2. განხორციელებადობა

ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წლიდან დაფინანსების ხელშეკრულებების შესრულების ხარისხი

„სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ასახეთ ცხრილში.

№	პროექტის შიფრი /ხელშეკრულების ნომერი	ლოტის №	ფონდის მიერ გადარიცხული თანხის ოდენობა	პროექტის განხორციელებისათვის გახარჯული თანხა	აუთვისებელი ნაშთი, რომელიც დაბრუნდა/უნდა დაბრუნდეს ხაზინის ანგარიშზე	პროექტის სტატუსი (მიმდინარე, დასრულებული, შესრულების ვადა გახანგრძლივებული, შეწყვეტილი)
1						
2						
3						
4						
5						

დაფინანსებულ პროექტებს შორის თუ არსებობს შესრულების ვადა გახანგრძლივებული ან შეწყვეტილი სტატუსის მქონე პროექტი, წარმოადგინეთ ინფორმაცია პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი პრობლემების შესახებ.

თავი 3. მოსალოდნელი შედეგები

[3] ჩამონათვალიდან დატოვეთ სწორი პასუხი, ხოლო არასწორი პასუხი წაშალეთ

[4] იგულისხმება საქართველოში დაფუძნებულ სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან ერთობლივი პროექტი.

3.1 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა/განახლება

დაასახელეთ ლოტი და დაასაბუთ დაგეგმილი შესყიდვების აუცილებლობა. ორი ლოტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამიჯნეთ ლოტების დასაბუთება.

3.2 ღია სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუტურა - მოსარგებლეთა წრე, გაზიარებული სამეცნიერო პრაქტიკა, დამწყებ მკვლევრთა შესაძლებლობების განვითარება

დასაბუთეთ რამდენად შეუწყობს ამ პროექტის განხორციელება დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სტრატეგიულ განვითარებას „ღია სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის" მიმართულებით [5].

[5] UNESCO-ს ღია სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის შესახებ იფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000383711

დანართი №4
გენერირდება GMUS-დან

RIM-#-26-###
სარეგისტრაციო შიფრი

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში მონაწილეობის შესახებ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ გავეცანით "სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857857 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 20 აპრილის №455135 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" პროგრამის მე-3 ქვეპროგრამას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №479872 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას, მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული პროექტისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვთანხმდებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი "სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში" მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი	
ლოტის დასახელება (მთავარი ლოტი)	
მთავარი ლოტისათვის მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
ლოტის დასახელება (დამატებითი ლოტის არსებობის შემთხვევაში)	
დამატებითი ლოტისათვის მოთხოვნილი თანხა (ლარი)	

ფონდიდან მოთხოვნილი ჯამური თანხა (ლარი)			
პროექტის ხელმძღვანელი			
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული			
პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი			
ტელეფონი			
ელ. ფოსტა			
ხელმოწერა			
განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებება			
უსდ-ს სახელწოდება			
მისამართი			
ტელეფონი			
ელ. ფოსტა			
უსდ-ს ხელმძღვანელი		ხელმოწერა	
			ბ.ა